კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ვალდტრუდერინგის მოხალისეთა სახანძრო ვებ-გვერდზე!

ძვირფასო მომხმარაბელო! დიდი მადლობა, რომ გამოიჩინეთ ინტერესი ჩვენდამი.

ძირითადი ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ მოთავსებელია ამ გვერდზე. დამატებით ინფომაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ იმეილს მეშვეობით.

ვალდტრუდერინგის მოხალისეთა სახანძრო არის ერთ-ერთ იმ 21 სახანძროთა შორის, რომელიც პროფესიონალ მეხანძრეებთან ერთად ზრუნავს მიუნხენის უსაფრთხოებისათვის. ზემოთ ხსენებული სახანძროები მდებარეობს ძირითადად მიუნხენის გარეუბნებში.

ჩვენი 37 აქტიური ვალდტრუდერინგის მეხანძრე ამ სამსახურს ენთუზიაზმით ემსახურება. ისინი არიან სხვდასხვა პროფესიის წარგომადგენლები, მაგრამ აქვთ ერთ საერთო ჰობი რომელიც მათ აერთიანებთ - სახანძრო.

სახანძრო გამოძახებაზე გავდივართ, როგორც პირველი მაშველი ძალა, პროფესიონალ მეხანძრეების მოსვლამდე ქალაქის ყველა კუთხეში.

მძიმე ზარალის შემთხვევაში, როგორიცაა ფართომაშტაბიანი ხანძარი ან წყალდიდობა - ვერთვებით როგორც დამხმარე ძალა მთელი ქალაქის მაშტაბით, გარდა ამისა არარეგიონალური, როგორიცაა 2002 წელს მომხდარი საუკუნის წყალდიდობა მდინარე ელბაზე განეკუთვნება ჩვენი საქმიანობის სფეროს. საშუალოდ წლიურად გვაქვს 50 გამოძახება.

ჩვენი მეხანძრეები გადიან ინტენსიურ სწავლებას და პრაქტიკას, რომელიც მოიცავს: პირველად სამედიცინო დახმარებას; მომწამვლელი ნივთიერებების გაუნებელყოფას შესაბამესად ჩვეჩ შეგვიძლია ყველა უბედურ შემთხვევაში

გამოვიჩინოთ პრიფესიონალური დახმარება.

აქტიური მოღვაწეობა იწყება 14 წლის ასაკიდან ახალგაზრდული სახანძროში გაწევრიანებით. მძიმე შემთხვევებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია 16 წლიდან.

გერმანიის მრავალ სახანძროებისაგან განსხვავებით მიუნხენის მოხალისეთა სახანძროს ყოველი წევრი 18 წლიდან ვალდებულია შეისწავლოს აირწინაღის მოხმარების წესები.

მიუნხენში არსებული დამხმარე ორგანიზაცია, რომელიც მხარში გვიდგას, შედგება ქალაქის მოსახლეთობისაგან. ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ჩვენი საქმიანობით დავაახლოვთთ დიდი ქალაქის სხვადასხვა ნაწილი და მათთან ურთიერთობა გავაუმჯობესოთ.

ეს დავალება ანონიმური ხასიათის ქალაქში არც თუ ისე იოლად განსახორციელებელია, ამასთანავე ეს საზოგადოება უზრუნველყოფს მოხალისეთა სასანძროს საჭირო არასტანდარტურ იარაღებით, როგორიცაა მაგალითად სპეციალური წყლის საქაჩი, დეფიბრილატორი, ანდა ბოლის განწოვი შენობების ბოლისგან გასაწმენდად.

მოხალისეთა სახანძრო 150 წელიწადზე მეტია საზოგადოების გვერდში დგას. დღესდღეობით გერმანიაში დაახლუბით 1,3 მილიონი მოხალისე მეხანძრეა, რომელიც მოსახლეობის დაცვას უზრუნველყოფს.

პროფესიულ ძალები განლაგებიელია მხოლოდ დიდ ქალაქებში და ვანსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფ საწარმოებში, როგორიცაა ნავთობგამოსახდელი საწარმო.